ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №442678

ნომერი: AR194065

თარიღი : 21.11.2012

გაცემის თარიღი : 26.11.2012

გაცნობის თარიღი : 29.11.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კახეთის გზატკეცილზე მშენებარე თხევადი გაზით გასამართი სადგურის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი წიკლაური პ/ნ 01009002032
- ვაჟა-ფშაველას გამზ, IV კვარტ, კორპ 22, ბ 24

ორგანიზაცია:

- შპს საქ საერთ ენერგეტიკული კორპორაცია კოდი: 230866783

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებულ გაზგასამართ სადგურზე ფარდულის გამყოფი პანელების დემონტაჟისა და მათ ადგილას არსებული გაზის მარიგებელი აგრეგატის გადატანის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, კახეთის გზატკეცილზე მშენებარე თხევადი გაზით გასამართი სადგურის მიმდებარედ, შ.პ.ს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. #003/005), არსებული გაზგასამართ სადგურზე ფარდულის გამყოფი პანელების დემონტაჟს და მათ ადგილას არსებული გაზის მარიგებელი აგრეგატის გადატანას. პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნული სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შ.პ.ს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია"–ს საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი #01.19.16.003.005 . ამონაწერი საჯარო რეესტრიდან – რეგ. #882011621894 27.12.11წ); არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, კახეთის გზატკეცილზე მშენებარე თხევადი გაზით გასამართი სადგურის მიმდებარედ, შ.პ.ს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. #003/005), არსებული გაზგასამართ სადგურზე ფარდულის გამყოფი პანელების დემონტაჟის და მათ ადგილას არსებული გაზის მარიგებელი აგრეგატის გადატანის შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge